

UDC 246.80

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-208-216>

რევიტალიზაცია, როგორც სოციალური კომუნიკაციის აღორძინების საშუალება

ნინო ხაბეიშვილი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68°

E-mail: n.khabeishvili@gtu.ge

მარიამ ცეცხლაძე არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68°

E-mail: tsetskhladzemariam95@gmail.com

რეცენზენტები:

გ. წულუკიძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: g.tsulukidze@gtu.ge

გ. ნაცვლიშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: g.natsvlishvili@gtu.ge

ანოტაცია. ურბანულ გარემოში ძეგლისა თუ ნებისმიერი შენობის ფასადის სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს რევიტალიზაცია წარმოგვიდგება როგორც პროცესი და არა შედეგი ახალი დატვირთვით, რასაც საზოგადოების კომუნიკაციის ჯანსაღი პლატფორმა ჰქვია. გაშუქებულია ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ვექტორი, რომლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობისას, ძეგლის ან შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხდება

სოციალური დატვირთვის შენარჩუნება და არა დაკარგვა, ფასადის დაფარვის ახლებური მეთოდით, კერძოდ LED დისპლეი ფარდის პანელით, რისი მეშვეობითაც სამუშაოების დასრულებამდე საზოგადოებისთვის აღქმადია ფასადის სამომავლო სახე, რის შედეგადაც შენობა დროებით კონსერვაციას აღარ საჭიროებს. ურბანული გარემოს რეაბილიტაციის დროს ობიექტზე მიმდინარე სამუშაო პროცესის ამ სახით შეფუთვა ხალხის ინტერესს უფრო გააღვივებს და მათი გადაადგილების ტრანექტორიის ცვლილებას არ გამოიწვევს. მსგავსი ინსტა-

ლაცია ხალხის ნაკადს უფრო მეტად მიიზიდავს, სოციალური კომუნიკაცია კი ნაცვლად იმისა, რომ, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, შეწყდეს, უწყვეტად გაგრძელდება და შესაძლებელია მეტად გაცხოველდეს კიდევ.

დასასრულ, მიუხედავად მსოფლიოში საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მრავალი ფაქტორის არსებობისა, არქიტექტურა დღესაც გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია, შესაბამისად მისი გავლენაც ადამიანებზე საკმაოდ დიდია, საზოგადოებაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ქმნიან არქიტექტურას, აწვდიან მას სოციუმს, ფუნქციონირებენ, ურთიერთობენ და იყენებენ მას, როგორც კომუნიკაციის დამყარების აუცილებელ საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა; რევიტალიზაცია; სოციალური კომუნიკაცია.

შესავალი

საზოგადოება ადამიანთა ჯგუფის საერთო ინტერესების, ფასეულობებისა და მიზნების გაერთიანებაა. სოციოლოგიის ძირითადი ცნება მას აღწერს, როგორც მოწესრიგებულ ერთობას, გარკვეულ სივრცეში განფენილ ადამიანთა თანაცხოვრებას. გელენის თანახმად, ადამიანი „ინსტინქტრედუცირებული“ არსებაა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობა და ადამიანთა ურთიერთქმედება თავისთავად, ბუნებრივად დადგენილი და ბუნების მიერ მოწესრიგებული არ არის. საზღვრების აღიარებით ხდება გაერთიანება ამა თუ იმ საზოგადოებაში და კომუნიკაციის დამყარება.

აქ აქტუალობას იძენს დასახლებული სივრცე (ქალაქი, დაბა, სოფელი), როგორც კულტურული კომუნიკაციის სოციალური და სივრცული სისტემა.

სივრცეში კომუნიკაციის ჯანსაღი არსებობისთვის აუცილებელია განისაზღვროს მიზანი. ასე, მაგალითად, შესწავლის შედეგად კონკრეტული ურბანული სივრცის რეკონსტრუქციის მიზნად შეიძლება იქცეს:

- საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური გაცოცხლება;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასახლებული პუნქტის სასიცოცხლო პროცესებში ჩართვა და მომსახურება;
- კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ჩვენთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქალაქო გარემოს ცალკეული ფრაგმენტების რევიტალიზაციის ის ფორმები, რომლის მიზანია კომუნიკაციის გაუმჯობესება, თუმცა ყოველივე ეს ძალიან ფრთხილად უნდა განხორციელდეს, ვინაიდან დასაშვებია ამ პროცესებმა გამოიწვიოს იქ მცხოვრებთა გადაადგილება, მიგრაცია ან ხელი შეუშალოს მათ საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებაში, რაც კომუნიკაციის შეწყვეტის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ძირითადი ნაწილი

ახალი სივრცეების შექმნა მართლაც რომ მნიშვნელოვანია საზოგადოების ახალი კომუნიკაციების ფორმირების ჩამოყალიბებისთვის, თუმცა დამთანხმებით, რომ რევიტალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარსულში არსებული ურთიერთობების აღორძინებაში, თავის თავში გულისხმობს ძველის განახლებას და მიტოვებული შენობების

თვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას, ქალაქების გა-
ლამაზებასა და მათთვის ფაქტობრივად ახალი
იდენტურობის შექმნას.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში, სოცია-
ლისტური ეკონომიკური სისტემის ჩავარდნის შემ-
დეგ, ზოგიერთი ქვეყანა სერიოზული ეკონომი-
კური პრობლემის წინაშე იდგა, რადგან სოციალის-
ტურ სისტემაში შექმნილი სხვადასხვა დაწესე-
ბულება მზად არ იყო იმ კონკურენციის დასაძლე-
ვად, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიოს ბაზარ-
ზე არსებობდა. ეს პროცესები საქართველოსაც შე-
ეხო. კერძოდ, ბათუმში, ერთ-ერთ პოპულარულ
ტურისტულ ქალაქში დღესაც ვხვდებით მიტოვე-
ბულ შენობებს, რომელიც ადრეულ წლებში ფუნქ-
ციონირებდა, დღეს კი მივიწყებულია და დანგრე-
ვის პირასაა.

ჩვენი კვლევის არეალში მყოფი ბათუმის ცალ-
კუული ფრაგმენტების რევიტალიზაციის პროცესი
ძალიან საინტერესო და მიმზიდველია, ვინაიდან
საქმე გვაქვს როგორც ძველის განახლებასთან, ისე
რადაც ახლის შექმნასთან, რადაც ორიგინალურთან,
რადგან დრო ისეთი განზომილებაა, რისი გაჩერებაც
შეუძლებელია და, შესაბამისად, ნებისმიერ სფეროში
მოითხოვს, რომ ფეხი ავუწყოთ მას, არ დავრჩეთ
წარსულში, მუდამ განვითარდეთ და ვპროგრესირ-
დეთ. ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნე-
ბოდა რამდენიმე ასპექტის გარეშე:

- არსებული მიწის რესურსი და სამშენებლო
ფონდი;
- სპეციფიკური ლანდშაფტი;
- კარგი ადგილმდებარეობა;
- სატრანსპორტო წვდომა;
- ექპერიმენტული შესაძლებლობები.

ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით
და შერჩეული მეთოდოლოგიის სწორად გამოყენე-
ბით, რევიტალიზაციის პროცესი აღმოჩნდება პრო-
დუქტიული და წარმატებული, რაც დადებითად აი-
სახება სოციალურ ურთიერთობებზეც, ამასთან მნი-
შვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს ის მიზანი და
პრინციპები, თუ რას უნდა ემსახურებოდეს რევიტა-
ლიზაცია:

- რევიტალიზაციის პროექტი არ უნდა იყოს
განყენებული და უნდა ემსახურებოდეს ქალაქის გან-
ვითარების სტრატეგიულ ხედვას;
- რევიტალიზაციის ძირითადი არსი უნდა იყოს
ქალაქის საერთო იმიჯის შექმნა, უნდა გამოირჩეო-
დეს ინდივიდუალური შტრიხებით, თანამედროვე
ელემენტებით და იმავდროულად არ დაკარგოს ძი-
რითადი ავთენტიკური სახე.


სოციალური კომუნიკაციის მრავალი ფორმა
არსებობს. 21-ე საუკუნეში ქალაქი ყალიბდება ფიზი-
კური ადგილებისგან, ინფორმაციის დინებისა და
მათი ურთიერთდამოკიდებულებისგან. საზოგადო-
ებრივი კომუნიკაციის კონტექსტში არქიტექტურის
როლი მნიშვნელოვანია. ისტორიულ ქალაქებში ხში-
რია შემთხვევები, როცა ურბანულ გარემოში ძვე-
ლისა თუ ნებისმიერი შენობის ფასადის სარეკონსტ-
რუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები აუცილებე-
ლია. ამ დროს ფასადის დაფარვა ხდება ისეთი კონ-
სტრუქციებით, როგორცაა ხარაჩო ან ტერიტორიის
შემოღობვა, ასევე მიმდინარე სამუშაოები იწვევს
ხმაურს, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის ამა თუ
იმ ობიექტის მიმდებარედ, განსაკუთრებით ქალაქის
ცენტრალურ ნაწილში. ყოველივე ეს მეტწილად
ზღუდავს მოძრაობას და დროებით წყვეტს იმ კომუ-
ნიკაციის ჯაჭვს, რომელსაც სოციალური კომუნიკა-

ციის სახით განვიხილავთ. რევიტალიზაცია არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ შედეგი, რაღაც ძველის განახლება, არამედ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც პროცესი ახალი დანიშნულებით, რასაც საზოგადოების კომუნიკაციის ჯანსაღი პლატფორმის უზრუნველყოფა ჰქვია. ობიექტზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობის დროს ძირითადი იდეაა ძველის ან შენობის მიმდებარე ტერიტორიისთვის სოციალური დატვირთვის შენარჩუნება და არა დაკარგვა, კერძოდ ფასადის დაფარვა LED დისპლეი ფარდის პანელით, რისი მეშვეობითაც სამუშაოების დასრულებამდე წინასწარ აღქმადი გახდება საზოგადოებისთვის ფასადის დასრულებული სახე, რის შედეგადაც შენობა დროებით არ კონსერვირდება, ეს კი ხელს შეუწყობს სოციალური კომუნიკაციის ჯაჭვის უწყვეტობას, არ ამოგდებას ქალაქის საერთო რიტმიდან, იმავდროულად ობიექტზე მიმდინარე სამუშაო პროცესის ამ სახით შეფუთვა ხალხის ინტერესს უფრო გააღვივებს და მათი გადაადგილების ტრაექტორიის ცვლილებას არ გამოიწვევს. მსგავსი ინსტალაცია ხალხის ნაკადს უფრო მეტად მიიზიდავს, სოციალური კომუნიკაცია კი ნაცვლად იმისა, რომ, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, შეწყდეს, უწყვეტად გაგრძელდება და შესაძლებელია გაცხოველდეს კიდევ, ვინაიდან LED დისპლეი პანელი უზრუნველყოფს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფასადის წინასწარ გამოსახვას, ვირტუალური არქიტექტურის რეალობაში შემოტანას და ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ტრანსლაციას, როგორცაა დაჯილდოებები, ფინალები, საჯარო გამოსვლები თუ უბრალოდ კომერციული სარეკლამო როლები, ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს დროდადრო ხალხის ნაკადის სხვადასხვა მიზნით თავშეყრას,

რაც პირდაპირ კავშირშია სოციალურ კომუნიკაციის არსებობასთან.

ზემომოყვანილ დებულებებს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბათუმის ევროპის მოედანზე პირველი აფთიაქის შენობის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო პროცესების მიმდინარეობისას, რომლის მონიტორინგის სამუშაოები წარიმართა სტატიის ერთ-ერთი ავტორის პირადი ჩართულობით, ნათლად გამოვლინდა ის დისკომფორტი, რასაც განიცდიდა აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სხვადასხვა დაწესებულება: კვების ობიექტები, საელჩოები, სახელმწიფო ობიექტები თუ სხვა, რაც ხალხის ნაკადის შემცირების მიზეზი გახდა. აღსანიშნავია, რომ იქ არსებული სივრციდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში (ფასადის დისპლეი ფარდის პანელით დაფარვა) ძველის ფასადი შეითავსებდა მონიტორის ფუნქციას ისე, რომ სამუშაოები არ შეწყდებოდა, რაც როგორც სანახაობრივი იქნებოდა ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის, ისე მომგებიანი გახდებოდა იქ არსებული კვების ობიექტების მეპატრონეთათვის.

მსოფლიოში გვხვდება რევიტალიზაციის იდეის სხვადასხვა მაგალითი, მათ შორისაა პარიზის პერფორმანსი-ტრიუმფალური თაღის მოვერცხლისფრო ქსოვილით შეფუთვა, რომლის იდეა მხატვარ ქრისტოს იავაჩევსა და მის მეუღლეს გასული საუ-





კუნის შუა წლებში გაუჩნდათ. ინსტალაციის ხორც-შესხმა პანდემიის გამო გადაიდო, თავად მხატვარსაც მისი შემოქმედება აღარ უნახავს, რადგან 2020 წელს გარდაიცვალა. თუმცა, 2021 წელს, მხატვრის სახელის უკვდავსაყოფად მაინც განხორციელდა. ეს ინსტალაცია ერთ-ერთი მაგალითია იმისა თუ როგორ და რა ფორმით შეიძლება მიიპყრო ხალხის ყურადღება და ადრე აქცენტური, დღეს უკვე თვალს შერვეული ძეგლი კვლავ საინტერესო და მოთხოვნადი გახადო. ეს არის იდეის რევიტალიზაციის პირველი მცდელობა, რამაც სოციალური კომუნიკაცია ამ არეალში ააღორძინა და უკვე თითქოსდა მოყირჭებული ძეგლი თუ ქუჩა კვლავ მოთხოვნად სივრცედ აქცია.



ნიუ-იორკში მდებარე ჰაი ლაინი იმის კარგი მაგალითია თუ როგორ შეიძლება მოძველებული და მკაცრად პრაგმატული შეხედულება გახდეს საზოგადოებრივი სივრცის შექმნის შემოქმედებითი გადაწყვეტა და, თავის მხრივ, უამრავი მნახველი მიიზიდოს.

High Line – ჰაი ლაინ პარკი, იგივე ჰაი ლაინი, როგორც მას ნიუიორკელები უწოდებენ, რამდენიმე


ეტაპისგან შემდგარი მსხვილი ლანდშაფტური პროექტია, რომელიც ყველა ადამიანის ყურადღებას იპყრობს თავისი განსაკუთრებულობით. 2,3 კილომეტრი სიგრძის პარკის არაჩვეულებრიობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გაშენებულია ნიუ-იორკის ცენტრალურ რკინიგზაზე, უფრო ზუსტად მის გაუქმებულ ნაწილში.



საინტერესოა პარკის დიზაინი, რომელიც კორნერ ფილდ პროექტსმა მცენარეების დიზაინერ პიეტ ოდოლფთან ერთად შეიმუშავა. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, ინსპირაცია აეღო იმ მცენარეებისგან, რომლებიც მიტოვებულ რკინიგზაზე იზრდებოდა 25 წლის განმავლობაში – ყველა ბუჩქი, ბალახი თუ ხე ამტანობით გამოირჩევა და მათი კომპოზიცია ფერების მიხედვითაც მკაცრადაა

დალაგებული. ასეთი დიზაინი, ჰაი ლაინის ცნობილ მცირე ფორმებთან ერთად, მეტ ბუნებრიობას მატებს ლოკაციას. პარკმა, რომელიც იდეალური კატალიზატორი გამოდგა ინდუსტრიულ რკინიგზასა და ურბანულ სივრცეს შორის, ჩელსის უბანს ახალი სიცოცხლე აჩუქა. ნიუ-იორკის მერმა ბლუმბერგმა ამ ფაქტს „უბნის რენესანსიც“ კი უწოდა. აღსანიშნავია, რომ ის დღეს საკმაოდ ფუნქციური

და ერთ-ერთი ჯანსაღი სივრცეა ადამიანთა კომუნიკაციისათვის. კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ახალი სახით აღადგინო საზოგადოებისთვის ნაცნობი გარემო და არ მოახდინო არსებული კომუნიკაციის ფორმის შეწყვეტა, შეინარჩუნო ის მხოლოდ ინტერესთა სფეროს მოდიფიცირების ხარჯზე.



შესაძლოა პროცესები პირიქითაც წარიმართოს, ქალაქის დატვირთული ნაწილის სახეცვლილებამ, არქიტექტურული სახის ცვალებადობამ, სხვადასხვა ნაგებობის დენოტაციის (ფუნქციის) ცვლილებამ საზოგადოების რღვევა გამოიწვიოს, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს იმ პროცესებს, რაც კომუნიკაციის შეწყვეტას ან სრულ გაქრობას შეიძლება ნიშნავდეს.

ამის კარგი მაგალითია ქალაქი ჰოლიოკი, რომელიც 1800-იანი წლების ბოლოს განვითარდა, როგორც პირველი დაგეგმარებული სამრეწველო ქალაქი შეერთებულ შტატებში. ეს იყო ქალაქის კონკრეტული მიზნით განვითარების ერთ-ერთი ნიმუში, რომელმაც ჩამოაყალიბა ერთგვარი საზოგადოება საერთო ინტერესებით და სოციუმით. 1900-იან წლებში ერთ დროს აყვავებულმა ინდუსტრიულმა

საზოგადოებამ რღვევა დაიწყო, ვინაიდან დროთა განმავლობაში ქარხნები დაიხურა და მრეწველობა მკვეთრად შემცირდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური ცვლა და ბრძოლა საზოგადოების ახალი იდენტურობისთვის. გარდა ამისა, შეიცვალა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები. დასაწყისში ჰოლიოკი ძირითადად ირლანდიელი და საფრანგეთის კანადელი მცხოვრებლებისგან შედგებოდა. დღეს ქალაქის შემადგენლობის თითქმის 50% ლათინურია. დღემდე გამოწვევად რჩება ქალაქის იერის აღდგენა ახალი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, კომუნიკაციის სწორი პლატფორმის შესაქმნელად.

ამჟამად ჰოლიოკი მასპინძლობს არაერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაზე მუშაობენ.

ზემოაღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით, არქიტექტურა ერთგვარი საშუალებაა სხვადასხვა სოციალურ ფენაში ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებისთვის.

დასკვნა

დღევანდელ ინფორმაციულ ერაში არქიტექტურა და დიზაინი ერთმანეთთან აკავშირებს ტექნოლოგიასა და კულტურას.

მსოფლიოში არსებულ ურბანულ სივრცეებში იზრდება ქალაქური ყოფის, ქუჩის ცხოვრების, სამოქალაქო კულტურისა და მნიშვნელობის მატარებელი ადგილების ღირებულებაც. ქალაქის თუ მისი ცალკეული ფრაგმენტების რეკონსტრუქცია-რევიტალი-

ზაციის პროცესი მიმდინარე ფაზაშია. ამასთან, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ურბანული პროექტების ძირითადი აქცენტი კომუნიკაციაზე კეთდება, თავისი მრავალგანზომილებიანი მნიშვნელობით. ის მოიცავს: ფუნქციური კომუნიკაციის აღდგენას მიზნობრივი დაგეგმარების მეშვეობით, ახალი სიმბოლური კვანძების აქცენტირებას ინოვაციური არქიტექტურული პროექტებით და ურბანული ფორმის წარმოჩენას საქალაქო გარემოს დიზაინის მეშვეობით. ყოველივე ეს ემსახურება საჯარო სივრცეების, როგორც ურბანული ცხოვრების და სხვადასხვა სოციალურ ფენაში ჯანსაღი კომუნიკაციის საშუალების შექმნას, შენარჩუნებასა და აღდგენას.

ლიტერატურა

1. Chichileishvili, M. (2017). Notes of time traveler. Georgia, Batumi: Adjara Cultural Heritage Protection Agency. <http://www.batu.edu.ge/sub-9/page/2327/index.html> (In Georgian);
2. National Parliamentary Library of Georgia. Dictionary of Civic Education <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6355>
3. *Historical*. (n.d.). The High Line. <https://www.thehighline.org/photos/historical/>
4. Metra. (n.d). "High Line" in landscape design and the role of landscaping in urban environments. (In Georgian); <https://metra.ge/ka/blog/hai-laini-landshaftur-dizainshi-da-gamtsvanebis-rol-i-urbanul-garemoshi>
5. Barbakadze, R. (2018). The importance and prospects of revitalization in Georgia. <https://medium.com/@revazbarbakadze>. (In Georgian);
6. Rekhviashvili, M. (2021, September 20). *The triumphal arch was wrapped in white cloth: 14 million euros were allocated to fulfill the dream of Christ and Claude Claude*. OK Magazine. <https://okmagazine.ge/ok-christo-arc-de-triomphe-wrapped-completed/> (In Georgian).

UDC 246.80

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-208-216>

Revitalization as a Means of Reviving Social Communication

Nino Khabeishvili Department of Architecture, Urbanism and Environmental Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: n.khabeishvili@gtu.ge

Mariam Tsetskladze Department of Architecture, Urbanism and Environmental Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: tsetskladzemariam95@gmail.com

Reviewers:

G. Tsulukidze, Associate professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: g.tsulukidze@gtu.ge

G. Natsvlishvili, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: g.natsvlishvili@gtu.ge

Abstract. During the reconstruction and restoration of the facade of a monument or any building in an urban environment, revitalization is presented as a process, and not the result of a new load, which is called a healthy platform for public communication. One of the directions of our research is covered, the main idea of which is that in the process of rehabilitation the surrounding area of a monument or building is preserved and not lost, by a new method of covering the facade, namely, the LED curtain panel becomes the future type of facade, thanks to which the building no longer needs in temporary storage. Thus, the packaging of the current workflow at the facility during the rehabilitation of the urban environment will arouse more interest among people and will not change the trajectory of their movement. Such an installation will attract more people, and social communication will not be interrupted due to rehabilitation work, but will continue uninterrupted and, moreover, may even become livelier.

In conclusion, despite the existence of many factors in the formation and development of society in the world, architecture is still an important part of the environment. Individual subjects in society create architecture, function, communicate, bring architecture to society and use it as a necessary means of communication. Therefore, the influence of architecture on a person is quite large. It seems to be a necessary means of establishing a connection.

Keywords: architecture; revitalization; social communication.

UDC 246.80

SCOPUS CODE 2216

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-208-216>

Ревитализация как средство возрождения социальной коммуникации

Нино Хабеишвили Департамент архитектуры, урбанистики и экологического дизайна, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^ა
E-mail: n.khabeishvili@gtu.ge

Мариам Цецхладзе Департамент архитектуры, урбанистики и экологического дизайна, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^ა
E-mail: tsetskhladzemariam95@gmail.com

Рецензенты:

Г. Цулукидзе, ассоциированный профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: g.tsulukidze@gtu.ge

Г. Нацвлишвили, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: g.natsvlishvili@gtu.ge

Аннотация. В ходе реконструкции-восстановления фасада памятника или любого здания в городской среде ревитализация представлена как процесс, а не результат новой нагрузки, что называется здоровой площадкой для общественной коммуникации. Охватывается одно из направлений нашего исследования, основная идея которого заключается в том, что в процессе реабилитации окружающая территория памятника или здания сохраняется и не теряется, новым методом покрытия фасада, а именно LED панель-занавес становится будущим видом фасада, благодаря чему здание больше не нуждается во временной консервации. Таким образом, упаковка текущего рабочего процесса на объекте при реабилитации городской среды вызовет больший интерес у людей и не изменит траекторию их движения. Такая инсталляция привлечет больше людей, а социальное общение не прервется из-за реабилитационных работ, а продолжится непрерывно и, более того, может даже стать более оживленным.

В заключение делается значимый вывод, что, несмотря на существование множества факторов формирования и развития общества в мире, архитектура по-прежнему является важной частью окружающей среды. Отдельные субъекты в обществе создают архитектуру, функционируют, общаются, доносят архитектуру до общества и используют ее как необходимое средство общения. Следовательно, влияние архитектуры на человека достаточно велико. Она словно является необходимым средством установления связи.

Ключевые слова: архитектура; ревитализация; социальная коммуникация.

განხილვის თარიღი 26.12.2022

შემოსვლის თარიღი 14.01.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2022